# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 54
წელიწადი პირველი
1912

ხუთშაბათი, 29 ნოემბ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, მ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.

ალექსანდრეს ქუჩა, გოგობაშვილის სახლი.

ვაცხებ პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მომიგროვდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდი ვნიშნავ არაჩვეულებრივ

# იაფ ვაჭრობას.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლათ

ვაჭრობა ნაღდზე.

იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.


ანტონ და ალექსანდრე გრიგოლის ძენი ახვლედიანები და ფატი დარისპანის ასული ახვლედიანისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 2 დეკემბერს სოფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის შესრულების წირვა და პანაშვიდი, პირველთ საყვარელი დისა და მეორესი დაუვიწყარი მეუღლისა

**მინადორა გრიგოლ ახვლედიანის ასულის**

სულის მოსახსენებლათ


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. **გაყიდვა დაიწყება დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვიდა წინიები [illegible]
**კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.
პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელის თამბაქოს ქარხანა

# ს ნ. ი. ბოზარჯიანცის

ამ-სა. თფილისში.

რომ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება ჩვენი თამბაქოს მომხმარებელთა, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს, ჩვენ რამდენიმე ახალი მანქანა შევიძინეთ.

ამჟამათ დიდი გასავალი აქვს ყოველ დღიურათ: „სიმპატია" და „მე-8 №". 10 ცალი 6 კაპ. გადის 500,000 ც. „დრუჟბა" და „ტოვარიში" 20 ცალი 5 კ.—700,000 ც. მარტივი და იაფი გასახვევი ხელს გვაძლევს, რომ საუკეთესო ღირსების საქონელი მივაწოდოთ. ფირმის პაპიროსები ყველგან იყიდება. უფთხილდით უსირცხვილო სიყალბეს. ფირმა არსებობს 1858 წლიდან.

მაიქციეთ ყურადღება ხაფაბრიკო მარკას.




# იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. ღაბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

☛ იგა ი. ნ. ☚

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

პაემზე დაფუძნებული ამხანაგობა

# ს. მ. კირაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**მომავალი ამა სეზონისთვის** მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატულის, ტილოსი და ბამბისა.

## დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის", გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისათვის. უფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სევსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

**რადგანაც** ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მოსკოვისა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ. მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნაღდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

ახლათ გახსნილი სავაჭრო [illegible]

# გ. დ. კაჭკაჭოვისა.

(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).

იმით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ 17 ამა ნოემბრიდან, ნიშნავს მხოლოდ 15 დღით საშობაო დიდ

# იაფ ვაჭრობას,

სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები." ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედოვ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით

პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი.

პროვინციის მოვაჭრეთა საყურადღებოთ!

მანუფაქტურული საპარტიო სავაჭრო

# ამხ. „სამეგრელო".

გაიხსნება 1 იანვრიდან 1913 წ. ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქ., მურალოვის შენობა.

ПАПИРОСЫ
ЭКСТРА
15 шт. 6 коп.
ФАБРИКИ А.ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ
А.ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ
„ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ"
ЦѢНА
25 шт. 15 к.
10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ПАПИРОСЫ
ГОЛУБКА
10 шт. 3 коп.
ФАБРИКИ А.ЭНФІАДЖІАНЦА

**აქიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.
თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** ვ. ს. ფეშინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს.
გოშპიტლის ქუჩა.

## ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქამ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე გიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**აქიმი.** გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადმოვიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

კვირას, 2 დეკემბერს დღით 12 საათზე

## ქალაქის გამგეობის სადგომში

დანიშნულია ს. ისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

პირველი საზოგადო **კრება,** რასაც დროებითი ბიურო ამ საზოგადოებისა აუწყებს და სთხოვს მათ დაესწრონ ამ კრებას. კრებას შეიძლება დაესწრონ არა წევრნიც.

ქ ა ბ ი ლ ი ს

**აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჭიჭინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

**აქიმი ი. ჩარექოვი.**
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.


# დ ღ ი უ რ ი.

— ავსტრიის მაცადინობამ, რომ რუმინია ბალკანეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ აემხედრებია, უნაყოფოთ ჩაიარა. რუმინია ნეიტრალიტეტს იცავს.

— შერიგების პირობის ქაღალდი დიდ სახელმწიფოებს წარედგინა განსახილველათ.

— ავსტრიამ და იტალიამ ვალონზე იერიშის მიტანის გამო საბერძნეთს პროტესტი გაუცხადეს.

— ავსტრიამ ხორვატის ჯარის კაცები რუსეთის საზღვარზე გაგზავნა, ხოლო პოლონელი და უკრაინელი ჯარისა-სერბია-ჩერნოგორიის საზღვარზე.

— პრაგაში სამხედრო წესების გამოცხადებას მოელიან.

— პოზნანის პოლონელებმა სერბიის

მინისტრ პრეზიდენტს 8000 ფრანკი გაუგზავნეს ბრძოლის ველზე დაჭრილთა დასახმარებლათ.

— იუმორისტული ჟურნალი ,,სატირიკონი'' 400 მანეთით დააჯარიმეს.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსეთის გაერთიანებულ თავად-აზნაურობას ნება დართო მოსკოვში მემამულეთა კრება მოიწვიოს.

— ბერლინის პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ რუსეთსა და ავსტრიას ომი მოუხდება; ინგლისი ნეიტრალიტს დაიცავსო.

— მშვიდობიანობის შესახებ ლონდონში მოლაპარაკებამდი, ოსმალეთის რწმუნებულებს გერმანიის დიპლომატებთან ბერლინში ექნებათ მოლაპარაკება.

— ბულგარლებმა ომში სულ 70 ათასი კაცი დაკარგეს.

— სამხედრო მინისტრი აუფერბერგი და გენერალური შტაბის უფროსი შემუა სამსახურიდან გადიან.

— ოსმალეთი ბულგარეთის საზღვარზე ციხეებს აგებს.

— ნობელის კომიტეტმა გადასწყვიტა წელს პრემია არავის მისცეს.

— თფილისის პალატამ ,,ბაკუ''-ს რედაკტორს ქ. ვერმიშევს გადასახლების ნაცვლათ 3 თვის ციხე მიუსაჯა.

— პუანკარემ შავმთიელთა დელეგატები ინახულა, რომელნიც ლონდონის კონფერენციაზე დასასწრებათ მიდიან.

# ოკტომბრისტები და კადეტები.

კადეტების მეთაურის, როძიანკოს, თავჯდომარეთ არჩევამ მთელი რუსეთი ააფრთოვანა, გაახარა, გულს იმედი ჩაუნერგა. როძიანკოს სიტყვამაც ხელი შეუწყო ამ აფრთოვანებას. საზოგადოება არ მოელოდა, რომ ოკტომბრისტების მეთაური კონსტიტუციას ხმამაღლა და თამამათ გამოექომაგებოდა. ამასთანავე ოკტომბრისტების ფრაქციას გამოეყო 25 კაცი კრუპენსკის მეთაურობით და აგრეწოდებულ ნაციონალისტებს, ე. ი. ზომიერ მემარჯვენეთ მიემხრო. მემარჯვენეებმა ამ ახალ ჯგუფს დაარქვეს „კოკო", ე. ი. კონსტიტუციონისტ-კონსერვატორები.

ოკტომბრისტების დანარჩენმა ნაწილმა კი მემარჯვენეებთან კავშირი გასწყვიტა და ოპოზიციას მიეკედლა. ეს იმიტომ, რომ მთავრობა არჩევნის დროს ოკტომბრისტებს არ ეხმარებოდა, პირიქით ხელს უშლიდა. მაშ ოკტომბრისტებმა სამაგიერო გადაუხადეს. ისინი აწ მთავრობის ყურმოჭრილი მონები აღარ იქნებიან და საკუთარ გზას დაადგებიან.

რომ კონსტიტუციას ნიადაგი გაუმაგროს. ერთი ის, რომ შეუძლია თავისი საბიუჯეტო უფლება მოიხმაროს და ხარჯთაღრიცხვა არ დაამტკიცოს, თუ მთავრობამ 17 ოკტომბრის მანიფესტი არ განახორციელა. ეს უდიდესი პროტესტი ნამდვილი კონსტიტუციონური აქტი იქნებოდა. მეტსაც ვიტყვი: ეს ერთადერთი საშვალება იქნებოდა, რომ სათათბირო თავისი უმოქმედო და ცრუ მდგომარეობიდან გამოსულიყო და მთავრობას ერთი კონსტიტუციონური ნაბიჯი მაინც გადაედგა წინ.

მაგრამ არა თუ ოკტომბრისტები, არამედ კადეტებიც ვერ არიან მებრძოლი კონსტიტუციონალისტები. მათ გამბედაობა აკლიათ და მოთმინებითა და ლოდინით უნდათ საქმე გაიტანონ. საზოგადოებას კი მოსწყინდა ამდენი მოთმინება.

კონსტიტუციონური ბრძოლის მეორე საშვალებას კანონმდებლობა შეადგენს. სათათბირომ თუ კიდევ მინისტრის მიერ მოწოდებული ვერმიშელი და სხვა ამგვარი წვრილმანი და უმნიშვნელო სამზარეულო მასალა ამზადა, მაშინ, ცხადია, დეპუტატებზე მზარეულებს მეტი მნიშვნელობა ექნებათ. ვფიქრობ კი, რომ მეოთხე სათათბირო საკანონმდებლო მუშაობაში მეტს ინიციატივასა და ფხას გამოიჩენს და უფრო მნიშვნელოვან კანონებს შეიმუშავებს. სახელმწიფო საბჭო, მართალია, არცერთს ამ კანონს წინ არ წასწევს, მაშასადამე, ვერცერთი კანონი ცხოვრებაში განსახიერებას ვერ ეღირსება, მაგრამ სათათბიროს ამგვარი მუშაობა მაინც არ ჩაივლის უმნიშვნელოთ.

მესამე უფლება, რომელიც მხოლოდ პირველმა სათათბირომ მოიხმარა ჯეროვნათ, შეკითხვის უფლებაა. მესამე სათათბიროში ოკტომბრისტები თითოეული შეკითხვის სიმწვავეს ანელებდენ და შეკითხვას მნიშვნელობას უკარგავდენ. ვნახოთ, როგორ გაირჯებიან წელს, მოერიდებიან თუ არა ბრძოლას კონსტიტუციის დასაცავათ!

უეჭველ შემთხვევაა ... ის, რომ მესამე სათათბიროს ცენტრი დაირღვა: უმცირესმა ნაწილმა გაიწია მემარჯვენეებისკენ, ... ნეებისკენ.

ესეც ერთი ნაბიჯია წინ! **ური.**

# ახალი ამბავი.

✦ ქ. დორპატიდან სტუდენტ დავით ელენტის გვამს ქუთაისში მოასვენებენ პარასკევს 30 ნოემბერს დილის $6^1/_2$ საათზე. დაკრძალვა დანიშნულია კვირას 2 დეკემბერს დღის 12 საათზე.

კვირას, 2 დეკემბერს დილით 12 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება საისტორიო და საეთნოგრაფიო ქუთათური საზოგადოების პირველი საზოგადო კრება.

✦ კვირა ღამეს, ბალახვნის ქუჩაზე ლევენტი ხამაშურიძისა და მიხეილ ჩინჩალაძის სახლებს ცეცხლი გაუჩდა და ორივე სახლი დაიწვა, როგორც ამბობენ ხამაშურიძის სახლი დაზღვეული ყოფილა და ჩინჩალაძისა კი არა. ადამიანის სხვერპლი არ ყოფილა ისე კი ორივე სახლი ავეჯეულით გადაიწვა.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა აქვს 29 ნოემბერს ქ. ქუთაისში.

✦ ინჟინერი აპ. კობახიძე დაამტკიცეს ჭიათურის სამთო-ტეხნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელათ და მასწავლებლათ.

✦ ჭიათურის ხაზინისათვის სახლის შენება ძლიერ სიჩქარით მიდის წინ. უკვე დასრულებულია ქვის ყოველივე სამუშავერი.

✦ თფილისის ქალთა უმაღლესის კურსების გამგე კომიტეტი სთხოვს შავიქვის მრეწველთა XV კრებას წინანდებური დახმარება ამოუჩინოს ფულით კურსებს.

✦ რედაქციამ მიიღო ლადო ბზვანელის — აკაკის მოგზაურობის აღწერა რაჭა-ლეჩხუმში. წიგნაკში სამი სურათია ჩართული — თვით მგოსნისა „საუზმე ჭომაში'' და ,,შეხვედრა მექვენასთან''. წიგნი სუფთად არის დასტამბული, ღირს ჩ შაურათ. წიგნის შემოსავლიდან ასი მანეთი გადადებულია ზეპირ სიტყვაობის შესაკრები ფონდისათვის.

✦ ხონის პროგიმნაზიის აქიმათ მ. რატიანი დაუნიშნავთ.

✦ ზუგდიდისა და ხეთას შუა ვინმე მხეიძეს ბოროტგამზრახველები თავს დასხმიან, წაურთმევიათ 50 მანეთი, საათი, ყაბალახი რევოლვერი და მიმალულან.

✦ „სახალხო გაზეთის'' რედაქტორს კურდღელაშვილს გუბერნატორთან განცხადება შეუტანია, რომ ,,სახალხო გაზეთის'' რედაქტორობა ა. ჭუმბაძეს გადაეცეს.

✦ გურიაში ნავთის დამუშავება სამოთხ ფირმას დაუწყია, მუშაობის დაწყების გამო მიწის სიჯარო ფასიც აწეულა.

✦ შემდეგი საბენეფისო წარმოდგენა გამართება 13 დეკემბერს. წარმოადგენენ გ. არადელ იშვილის საბენეფისოთ „გაიდემუსს".

✦ გაბრიელის ქუჩის მესამე მისახვევში გორის მცხოვრებმა მუშამ ნესტორ უგრეხელიძემ და ნეფარიძემ ააშენეს კლდეზე სამსართულიანი ქვის სახლი. ქალ. გამგეობამ სახლის შენება ტეხნიკური მიზეზების გამო შეაჩერა, არ დაახურვია, სამესამედოთ კრამიტით დახურულ სახლის სახურავიდან პატრონს, ნესტორ უგრეხელიძეს განუზრახავს კრამიტის ძირს ჩამოტანა, გუშინწინ, 27 ნოემბერს ნაწუმარზე სახლის თავზე შესულა, დაუწყია მუშაობა, მოსველებულ სწრაფილზე ფეხი დასხლეტია და ჩამოვარდნილა ამოდენა სიმაღლიდან ძირს მესამე სართულის კლდეზე, დაცემულა ჯერ ძირა სართულის ფიქვის კოჭს ჩაუმტვრევია და მერე იქიდან ამისიმაღლიდან გადმოვარდნილი სულ ერთიანათ დალეწილი და დაპექილია. მალე საცოდავს სასულიერო სასწავლებლის ფერშალი და აქიმი მიაშველეს, მარა მორჩენის იმედი არ აქვთ.

## მოწერილი ამბავი.

**ს. ხეგი (გურია).**

ელისაბედ მამალაძის ქალმა თავის ქმარს ონისიმე ანთაძეს ცხვირზე ცულდი დაკრა და ცხვირი მთლად ჩამოაცალა, ამგვარ მხეცურ მოქმედების მიზეზათ ცოლქმარს შორის შუღლსა და უთანხმოებას ასახელებენ.

**ს. ნაბეღლავი (გურია).**

ერთი წლის წინათ ამ სოფელში შკოლის შენობა დაიწვა. მას შემდეგ შკოლა ნაქირავებ შენობაშია მოთავსებული. სოფლელებს შკოლის აშენება უნდათ, მაგრამ ადგილის შესახებ უთანხმოება აქვთ. სოფელი ორ ნაწილათ გაიყო და თითოეული ცდილობს თავის ახლოს ააგოს შკოლა, ამ უთანხმოების გამო ჯერჯერობით შკოლისათვის შენობა ვერსად ვერ აუგიათ. მთავრობა დაუყონებლივ მოითხოვს შკოლის აგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დახურვით იმუქრება.

**დ. აბაშა (ოდიში).**

1901 წელს აბაშაში 120 მცხოვრებმა აქ სამარხი კასა დაარსეს, კასის გამგეებათ აირჩიეს ღვდ. ფ. შაბახია, მასწ. ფ. დგებუაძე და ბ. ხუსკივაძე. ხსენებული კასა ერთ წელს შემდეგ დაიხურა, ხოლო კასაში დარჩენილი ფული 250 მანეთი ალაჰმა უწყის სად არის. ზემო დასახელებულ გამგეებს კასის ერთი წევრთაგანი სთხოვს — გააგებიონ — სად ინახება, ვის ხელშია ის 250 მანეთი.

**ს. ლესა (გურია).**

ამ სოფელში გზები ძლიერ გაფუჭებულია. ავდრიან დღეს განსაკუთრებით პლატფორმისაკენ მიმავალ გზაზე კაცს ვერ გაევლება. მამასახლისი შეგნებული პირია და გვიკვირს, ყურადღებას რომ არ აქცევს ამ გარამოებას.

## ილიას დილა
### სახალხო უნივერსიტეტში

დღეს ილიას სახელს ყოველი ქართველი სასოებით იგონებს. მის დიად პიროვნების წინაშე ყველა მოწიწებით ქედს იხრის. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში და სამშობლოს გარეთაც, სადაც კი შეგნებულ ქართველთა საკმაო რიცხვი მოიპოვება, ყოველგან ღირსეულათ იდღესასწაულეს ილიას დაბადებიდან 75 წლის თავი. ყველა თავის მოვალეობათ თვლის ილიას საპატივცემოთ გამართულ ტრადიციულ საღამოებზე დაესწროს და აქ სამშობლოს სიყვარულის ზეწარმტაცი გრძნობა განიცადოს. ამ საერთო ზეიმს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტიც არ ჩამორჩა და კვირას, 25 ნოემბერს, ქალაქის თეატრში საკმაოთ მრავალრიცხოვანი ილიას დილა გამართა. პირველად ჩვენმა ბელეტრისტმა დ. კლდიაშვილმა ილიასადმი მიმართვა წარმოსთქვა და შემდეგ ბ.ბ. ს. ქვარიანმა და ალ. გარსევანიშვილმა ლექციები წაიკითხეს. სამივემ აღიარა, რომ ილიამ მთელი თავისი სიცოცხლე მოძმეთა გამოფხიზლებასა და გათვითცნობიერებას მოანდომა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავდადებით ცდილობდა მშობელქვეყნისათვის „მწუხრის ზეწარი'' აეხადა და მისი პროგრესისა და წინმსვლელობისათვის ხელი მოემართა; კრიჭაში უდგა და შეუპოვრად ებრძოდა შინაურსა და გარეშე მტერს და აი ასეთი ჩვენი უებრო მეჭირნახულე და მომავლის მოამაგე რომელსაც,

,,ერის წყლული უნდა წყლულად,
ეწოდა მის ტანჯვით გული;
მის ბედით და უბედობით
ძლგვოდა მტკიცე სული,''

უმადურებმა აღარ დავინდეთ და გოლგოთაზე ავიყვანეთ; მშობელ ქვეყანაზედ მზრუნველი და ნიადაგ მაზედ მოაზროვნე ნათელი შუბლი ტყვიით გავუგმირეთ; სამშობლოს კეთილდღეობისთვის მგზნებარე სისხლი წიწამურის ველის ტალახსა და მტვერში გავსვარეთ.

მაგრამ ილიამ თავისი მოწამებრივი სიკვდილით ქართველი ერის სიკვდილი დათრგუნა და მას სიცოცხლე მიანიჭა. ამ შემთხვევამ ჩვენი ხალხი ხანგრძლივი ძილისაგან გამოარკვია, რომელიც პოეტს ასე ენატრებოდა. ილიას ტრაგიკულმა სიკვდილმა ქართველი ერის გულის სიღრმეში მიმალული და თითქმის ჩაფერფლილი ნაციონალური გრძნობა გამოაფხიზლა, გაალვივა და გრძნობა იგი დღეს ერის საუკეთესო ნაწილს გზის მაჩვენებელ შუქურ ვარსკვლავათ და მოქმედების ძლიერ სტიმულათ გაუხდა.

უდღეური და უმერმისოა ის ერი, რომელსაც ეს გრძნობა განელებია. ზნეობრივათ და გონებრივათ მახინჯია ის ადამიანი, რომელიც ამ გრძნობას მოკლებულია. ეროვნული გრძნობა ისეთივე ბუნებრივია, როგორც სხვა ადამიანის თანდაყოლილი თვისებანი და ის სხვებთან ერთად მემკვიდრეობით შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადადის.

კიდევ უფრო ბუნებრივი და აუცილებელიც არის წმინდა და მაღალი ნაციონალური გრძნობის არსებობა ჩვენსთანა პირობებში მყოფ ერისათვის, ურომლისოთ გაბატონებულ ერში გაქვევა არ აგვცდება. სხვადასხვა ერების ისტორია იმის მშვენიერი დამამტკიცებელია, რომ პატრიოტული გრძნობა საკუთარ დამოუკიდებლობას მოკლებულ ხალხში უფრო ღრმა, ძლიერი და კეთილშობილურია, ვიდრე პოლიტიკურად თავისუფალ ერში: პირველი ცდილობს იმის მოპოვებას, რაც მეორეს უკვე აქვს და იმდენათ არ აფასებს...

კოხტა და გრძნობიერი იყო ბ-ნი კლდიაშვილის მიმართვა, შინაარსიანი იყო ბ-ნი

# ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა
## I
## თეატრის სეზონის დასაწყისი.

(შენიშვნები გაკვრით).

ქუთაის წრევანდელი დასი რაც დღე მიდის, უფროდაუფრო მწყობრათ და აზრიანათ ასრულებს თავის მოვალეობას.

უნებლიეთ გვებადება სურვილი თვალი გადავავლოთ ამ ორი თვის ნაშრომს.

სეზონის დაწყებამდი ხმა დადიოდა ქუთაისს წრეულს დასი არ ეყოლება, წარმოდგენები არ ექნებაო. ხმას საფუძველიც ქონდა: დრამატიული საზოგადოების უსალსრობა და მსახიობთა პროვინციებში გაფანტვა.

29 სექტემბერს მაინც გაიხსნა სეზონი და მას მერე ორი თვის განმავლობაში 18 წარმოდგენა გაიმართა; მხედველობაში თუ არ მივიღებთ ორ-სამს უმნიშვნელო პიესას, ყოველი საღამო ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხებს გვიყენებდა გადასაწყვეტათ და მსახიობის გრძნობით განშუქებულს ადამიანთა ზრახვებს გვიხატავდა.

როცა უმნიშვნელო პიესები გავიხსენეთ, უმთავრესათ სახეში გვქონდა „განთავისუფლებული მონები''. ეს პიესა არც გონებას ეუბნება რასმე და არც რისიმე განცდა შეიძლება მისი ცქერით. მართალია, გვაცინებს იგი, მაგრამ არა ხასიათების, მდგომარეობის და სინამდვილის დასახვით არამედ მანჭვა-გრეხით, მომქმედ პირთა სისულელით, ასეთ სიცილს სხვაგან უნდა ქონდეს ადგილი და არა თეატრში.

სრულიად არა მსურს ვთქვა — ჩვენმა თეატრმა უსათუოდ ცრემლები გვაღვრევიოს და მხოლოდ მაღალ საკითხებზე ჩაგვაფიქროს-მეთქი; პირიქით — რადგან ერთად-ერთი თეატრი გვაქვს და ერთად-ერთი დასი გვაქვს, ნუ დაიზარებთ სხვადასხვა დარგები სცენიური ხელოვნებისა გვაჩვენოთ, მაგრამ ხელოვნებისა და მხოლოდ ხელოვნებისა.

ლიტილით გამოწვეული სიცილი თეატრს არ ეკადრება.

მოგვეცით დ. კლდიაშვილის, აზიანის, თუ გნებავთ ძველი იუმორისტების — ანტონოვისა და ერისთავების საუკეთესო პიესები, გოგოლი და არისტოფანე.

ახლა თვით თამაში სხვადასხვა გვარათ სწარმოებს. ერთი თეატრი უკიდურესს რეალიზმს მისდევს, მეორე ამარტივებს. ერთი რომ ცდილობს ,,შექმნას გუნება'' (создать настроеніе) მეორე მშრალი ცოცხალი სურათის დახატვას ეთაყვანება, თითქოს ეუბნება მაყურებელთ — შენი ნებაა რასაც იგრძნობ, და რასაც იფიქრებო.

ყველა ამის ნიმუშები გვიჩნეთ, რამდენადაც კი შესაძლებელია...

მაგრამ ნუ დავანახვებთ სცენაზე ნურც ,,გათავისუფლებულ მონებისთანა'' უაზრო ფარსს, ნურც გამოიყვანთ ისეთს არტისტებს, რომელნიც ერთმანეთის დანახვაზე იცინიან, როგორც ეს მოხდა სხვამხრივ მშვენიერათ ჩატარებულ 24 თებერვლის წარმოდგენაზე ,,სამშობლოს'' შარჟზე.

სხვა დანიშნულებისა გარდა, რომელნიც ყოველგან აქვს თეატრს, ჩვენში იგი უნდა ემსახუროს ქართულის გამშვენიერებას, მისი კანონიერათ ხმარების შეთვისებას. პიესა ენის მხრივ გახვეწილი და გასწორებული უნდა იდგმოდეს. ორიგინალურ პიესებსაც ატყვია ენის უცოდინარობა და ზოგიერთი თარგმანი ყოვლად შეუწყნარებელია.

და ეს დიდ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს დრამატიული საზოგადოების გამგეობას...

მსახიობებიც ხელს უწყობენ ენის დამახინჯებას, რადგან ძველი ცოდვა როლის უსწავლელობისა ჯერ კიდევ ვერ აღმოუფხვრიათ ახალგაზდა, მუყაით მუშაკთაც კი. აი, ამიტომაა რომ ზოგჯერ გომერიული სიცილი გაისმის თეატრში (,,ჩააგეთ ხმლებით, ქვე ხანჯლებო!'' ანდა „ყუთი მჭირდება!" — „ფული მჭირდებას" — მაგიერათ).

ზოგიერთ მსახიობს ეტყობა რომ ცხოვრებაში ქართულს არ ხმარობს ქართულათ არ აზროვნებს და ამიტომ სუფლიორის მიერ მოწოდებულ სიტყვებსაც რუსულს უნარზე ჩამოაყალიბებს, გადააკეთებს.

წერილი გაგრძელდა. იძულებული ვარ მსახიობთა დახასიათება უფრო მოხერხებულ დროისთვის გადადვა, რადგან უკანასკნელი სამი წარმოდგენის შესახებ, თუ ახლაც ნაგვიანები არ არის, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა,

როგორც ბავშთა დილა 21 ნოემბერს გამართული, ისე ბელეტრისულ თხზულებათა სცენაზე წარმოდგენა ქუთაისისთვის სრულიად ახალი მოვლენაა.

იმედი უნდა ქონოდა კაცს, რომ საზოგადოება ბლომათ დაესწრებოდა... ბავშები, ეს იმედი და სასოება, ისე დაღონებულია, ისე მოკლებულია საზრიან დროს გატარებას რომ არა თუ ხელი უნდა შეეწყოთ დრამატიული საზოგადოების განზრახვის თვის, არამედ თვითონ მოქალაქენი, განსაკუთრებით კი მშობლები უნდა ცდილობდენ ასეთი ,,დილებისა'' და ,,საღამოების'' მოწყობას, რათა ააშორონ მოზარდი თაობა ქუჩაში ხეტიალს და ქუჩის ზნეჩვეულების შესისხლხორცებას. ეს პატარა უმანკო თვალი, ვინ იცის იქნებ ლეონარდოს ნიჭით აღბეჭოს ბუნებამ ამ მკლავს, რომელზედაც ნაზი. ლურჯი ძარღვი მოსჩანს იქნებ წილათ ხვდეს აღმაშენებლის ხრმალი, ამ ორმა ბავშმა, ასე უბრყვილოთ რომ შესცქერიან ერთმანეთს იქნებ თვით ცხოვრებაში განახორციელონ უსაზღვრო უკუნითი უკუნისამდი გამყოლი სიყვარული რამეო და ჯულიეტასი.

და ცოდვა აო იქნება შესაძლებელი შვენება და სიამაყე ქვეყნის მოწყენით დავასახიჩროთ ანდა უსაქმობით, ცხოვრების ულის-ღამობით გავრყვნათ?

ვინც თეატრში იყო, დამეთანხმება, რომ ძვირათ თუ ნახავთ ისეთს დასევდიანებულს, გამხთარ-ჩაყვითლებულს პაწიებს, როგორც ჩვენშია. სხვაფრივ კი როგორ უნდა გამხდარიყო, როცა ჩვენი ბავშები მოკლებული არიან სოფლის მარტივს ცხოვრებას, სოფლის წმინდა ჰაერს, სირბილს, ცელქობას და მათ არ აქვთ არც ქალაქის გამომაფხიზლებელი, გონების მავარჯიშებელი და ფანტაზიის აღმძვრელი გასართობები.. ისინი როგორც მოახლეები, შურით შეყურებენ უფროსების დროს გატარებას.

პიესამ ცუდათ ჩაიარა, მაგრამ ეს არაფერია... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრამატიული საზოგადოება შემდეგში უფრო დახელოვნებულ მსახიობებს მიანდობს როლებს... ეს არაფერია — მიზანი მაინც მიღწეული იყო: ბავშთა მკრთალ სახეებზე აღურაცხველი სიამოვნება იხატებოდა, თვალებში ნაპერწკალი სცვიოდა; პატარები გულმხურვალე მონაწილეობას იღებდენ მომქმედ პირთა ცხოვრებაში: საყვარელ მომქმედ პირებს ურჩევდენ თავ-თავიანთ ადგილებიდან, ვინც სძულდათ, მათ კი აუგებდენ დაუფარავათ.

რა გახარებული დარჩენ ბავშები, როცა სათნოებამ გაიმარჯვა და სულის სი-

...რიანის ლექცია. ხოლო უნდა ლავართოთ, რომ ასეთ დროს ანგარიშების სწორება და ამა თუ იმ ჯგუფის მოქმედების ასე ხაზგასმით დაგმობა, ჩვენის შეხედვით, უადგილო და შეუწყნარებელია. ბ-ნმა ალ. გარსევანიშვილმა ჩვეულებრივათ სადა და მარტივი ენით მსმენელებს განუმარტა ილიას პოეზიის მთავარი მოტივები.

დასასრულ ელ. ხელთუფლიშვილის ...ულმა, ბ.ბ. შუბლაძემ, ნ. გვარაძემ და ...რ. რუხაძემ ლექსები წაიკითხეს.

საყვედურის ღირსნი არიან ის ბატონები, რომელთაც სახ. უნ. გამგეობას დაპირება არ შეუსრულეს და მათი გამოუცხადებლობის მიზეზით ხორო არ შესდგა. სიმღერა კი გააძლიერებდა და გააგვირგვინებდა იმ სიამოვნებას, რომელიც ამ დილაზე შეკრებილმა დიდძალმა საზოგადოებამ საკმაოთ მიიღო. **ფარი.**

## არისტო ქუთათელაძის საფლავისაკენ.

იმ დროს, როცა იმერეთის ერთ კუთხეში—დაბა ხონში დიდის ყურადღებით და ჯეროვანი პატივისცემით ასაფლავებენ დარბაისელ მოღვაწეს, ივანე შარაშიძეს, იმავე დაბას გაქრა ცხოვრება ერთი ფრიად საყურადღებო, დიდათ სიმპატიური ჩვენებური მამულის შვილის—არისტო ქუთათელაძისა. სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა და ნორმალურ პირობებში ის შიშსა და საზარელ შთაბეჭდილებას არ უნდა სტოვებდეს, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, სადაც პირადობას, თავისებურობას, დამოუკიდებელ ხასიათს განსაკუთრებული ყურადღება და გასავალი არ აქვს, ცხოვრებაც საძნელოა და სიკვდილიც საშიშრო. ძველათ, როცა ადამიანთა უმრავლესობა სარწმუნოებრივი გრძნობით იყო გატაცებული, სიკვდილი რაღაც სანატრელი გარემოებისაკენ წასასვლელი საფეხური იყო; ახლანდელ დროში, როცა ეს მთავარი, სიკვდილ-სიცოცხლის შემრიგებელი, სამვალება თითქმის ყველასათვის მოსპობილია, ერთად-ერთი ნუგეში ამა ცხოვრებისა და მომავლისაც—ეს თავის შრომის, აზრის და ადამიანური ღირსების ჯეროვნათ დაფასება-შეგნება-შეთვისებაა თანამოაზრეთაგან. მაგრამ სამწუხარო და სატირალი ის არის ჩვენ ცხოვრებაში, რომ კავშირი, დამოკიდებულება კერძო ადამიანთა სულიერ მოძრაობას, მის მოქმედება-აზროვნებასა და საზოგადოების შორის არ არსებობს; თუ ვინმეს წილათ ხვდა ყურადღება, პატივისცემა ეს იმის მომხრეთა და მეგობართა ჯგუფის მხნეობა. გაბედულება—მოთავეობის ბრალია; თვით საზოგადოება, ანუ შეგნებული ნაწილი ჩვენებურობის იშვიათად აქცევს თვალყურს კერძო ადამიანის მოქმედება-მოღვაწეობა-სულის კვეთებას; ამიტომაც ხდება ის, რომ ერთს ცათამდი აიყვანენ ქება-დიდებით, მეორე კი, დიდათ საყურადღებო და დასაფასებელი ადამიანი ტანჯვა-ვაება წვალებაში ლევს სულს ყველასაგან მივიწყებული და ვარყოფილი. არისტო ქუთათელაძე მთელი თავის არსებით, ნიჭით და ცხოვრების ძალით თაყვანისმცემელი და ერთგული იყო თავისი ქვეყნის. პროფესიით პედაგოგმა თავისი ნიჭი, შრომა, ენერგია ქართულ გიმნაზიაში მოღვაწეობას შესწირა; მარტო მშრალი ცოდნა მეცნიერებისა გადამცემელი, ჩამნერგველი კი არ იყო ის: თავის მოწაფეების ახალგაზდური ხალისით გრძნობდა, ითვისებდა ყოველივე მორიგ საჭიროებას ჩვენი ქვეყნისას; არ ყოფილა ისეთი მოვლენა, საქმე ჩვენს ცხოვრებაში, რომ არისტო ცოცხალი, მკვიცხლი, იმერული ხალისიანობით არ გატაცებულიყოს მითი და თავის მოწაფეებისათვისაც არ ჩაენერგოს სიყვარული, მოვალეობა, მოღვაწეობის საჭიროება სამშობლოსათვის; იმ დროს, როცა ძლიერ მცირედი ჩვენებური ნასწავლი ახალგაზდობა ეწაფებოდა ქართული ენის საჭიროებისათვის ზრუნვას, ქართულ საქმეს, არისტო ქუთათელაძე ქართული გრამატიკის, ისტორიის და სამეცნიერო მასალების ძიებაში ატარებდა დროს. იგი ყოველი ჩვენებური საქმის ფაქტიური თანამშრომელი, მომხრე და თანამგრძნობელი იყო; ყოველსავე გულ-გრილობას, დაუდევრობას, უმოქმედობას საზოგადო საქმეში აშფოთებით, გულახდილათ კიცხავდა, გმობდა, ებრძოდა; ბევრ ჩვენებურ ახალგაზდას, ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე უმიზნოთ მოხეტიალეებს ჩაუნერგა თავისი გატაცებული ქადაგებით რწმენა და სურვილი სამშობლოს სამსახურისა. კერძო ამხანაგურ განწყობილებაში არისტო ქუთათელაძე მომხიბლავი, ხალისიანი, მოკისკისე, მოსწრებული ენა მახვილი, სასიამოვნო მოსაუბრე და მხიარულების გამომწვევი სანდომიანი კაცი იყო. აი, ასეთი ადამიანი გამოესხლიტა ცოცხალი ადამიანებით ღარიბს ჩვენს წრეს და ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას არც კი გაუგია, არც უგრძვნია ეს დანაკლისი...

**ნიკო. თავდგირიძე.**

## ომი ბალკანეთზე.

### დ ე პ ე შ ი.

**სოფია.** ლონდონისაკენ მოგზაური დანევი ბუქარესტში გაჩერების შემდეგ, შეჩერდება ვენაში და პარიზში, რათა გარეშე საქმეთა მინისტრებთან მოლაპარაკება გამართოს.

**ათინა.** ვენიზელოსი, მისიის სხვა წევრების თანხლებით, ბრინდიზში წავიდა.

**ბელგრადი.** მეფის შვილი ალექსანდრე კოსოვოზე მივიდა მამულისათვის დახოცილთათვის გადახდილ პანაშვიდზე დასასწრებლათ ამერიკიდან სერბიით 300 ბულგარელი მოვიდა. დელეგატი ნოვაკოვიჩი ლონდონში წავიდა. დელეგატები ნიკოლიჩი, გენერალი ბოიოვიჩი და პოლკოვნიკი პავლოვიჩი დილით ლონდონში წავლენ.

**სოფია.** გორცმარშალმა, გენერალმა დრაგომანოვმა და მთავარმა სამხედრო პროკურორმა აკურამ, რუმინიის მეფეს პლევენის აღების წლის თავი მიულოცეს მეფე ფერდინანდის მინდობილობით.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტთან ბაასის დროს განაცხა: იმედია მშვიდობიანობა კეთილათ დაგვირგვინდება. ადრიანოპოლი და სალონიკი ოსმალეთის მფლობელობაში დარჩებაო. ბალკანეთის სახელმწიფოები ომამდი მარტო მაკედონიის ავტონომიას თხოულობდენ. ამ დროს დიდი სახელმწიფოები ამბობდენ ბალკანეთის კავშირი ომით ვერაფერს ვერ მოიპოვებსო და ოსმალეთიც არ ეთანხმებოდა მაკედონიის ავტონომიაზე; ახლა ბალკანეთის მოკავშირენი იტყობინებიან ოსმალეთი პატიოსნათ დამარცხდაო. ამიტომაც ჩვენ ვაძლევთ მაკედონიის ავტონომიას; რაც შეეხება ადრიანოპოლს, სალონიკს და სხვა ქალაქებს ჩვენ მათ ვერავის დაუთმობთო. ასეთია ოსმალეთის მთავრობის შეხედულება. თუ კი კერძო პირობები პატიოსნათ ინახავენ წინანდელ სიტყვას, მით უმეტეს სახელმწიფოებმა წინანდელ მოთხოვნილებას აღარ უნდა გადაუხვიონო. ამიტომ ბალკანეთის მოკავშირეებს. მაკედონიის ავტონომიას გარდა არაფრის მოთხოვნის უფლება არა აქვთო. კორესპონდენტის შეკითხვაზე იყო თუ არა, რაიმე პირობები დადებული ზავის ჩამოგდების დროს, მინისტრმა განაცხადა: ზავის დროს ჩვენ არაფერი წინადადება არ მოგვითხოვია. ადრიანოპოლში სურსათის შეტანის შესახებაც არასფერი გვითქვამს, რადგან იქ სურსათი ბევრია. რაც შეეხება საბერძნეთის როლს, მან განაცხადა სურვილი სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობისა,

## დ ე პ ე შ ი.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

### საზღვარგარეთი.

**ვენა.** ავსტრიის ფინანსის მინისტრმა ბანკებიდან 166 მილიონი კრონი ისესხა.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის ფინანსის მინისტრმა უნგრეთის საკრედიტო ბანკების საშვალებით იგივე კურსით და პირობებით, როგორც ავსტრიის მინისტრმა, სახელმწიფო ვალი აიღო.

**ქაირო.** ქაირისა და ხელუანის რკინიგზის ლიანდაგზე 7 მოგზაური არაბი მოკვდა და 7 მძიმეთ დაშავდა.

**რომი.** დეპუტატი პინკია საჯულანოს შეეკითხა: რა საფუძველი აქვს სამთა კავშირის განახლებასო. შეკითხვის მიზანია მთავრობა გამოიწვიოს ამ საკითხის განსამარტავათ.

**შკანია.** ნაციონალური კრების თავჯდომარის უჩუილიანის ინიციატორობით შემოწირულებათა შეკრება მოაწყვეს, რათა გარეშე მონგოლეთს ბრძოლა გაუწიონ.

**ბუქარესტი.** მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. სადგურზე დიდ მთავარს მიეგებენ კარლი, პრინცები, ფერდინანდი, მიტროპოლიტი და მრავალი საპატიო პირი. სატახტო ქალაქი დროშებით შეამკეს.

### რ უ ს ე თ ი.

**გიბორგი.** სასამართლოს გამომძიებლის განკარგულებით იურკევიჩი, რადგან არ გამოცხადდა ჩვენების ჩამოსართმევათ, დაატუსაღეს. გოფგერიხტის ბრალდებული წევრები: ფორმანი, რორდსტემი, ბრუნაუმბროსი და ფაგერსტრემ-საკენი პეტერბურგს გაგზავნეს.

**კიევი.** ქალაქის საბჭომ, რომანოვებთა გვარეულობის სამასი წლის იუბილეს აღსანიშნავათ, გადაწყვიტა გააუქმოს ის 385,000 მანეთი ნედოიმკა, რომელიც საავდმყოფოს აქვს გადაუხდელი 1891—1912 წლამდი.

**ჰელსინგფორსი.** როგორც გაზეთები ამბობენ იჟმანის მიერ ყალბათ გაფლანგული ფულის რიცხვი დღემდი 6,800,000 მარკამდი ადის და მოსალოდნელია 12,000,000 ავიდესო.

## გ უ რ ი ა.

**ს. იანეული.** ამ სოფელში 140 კომლი მცხოვრებია, ორი წილი გლეხებისაა და ერთი მესამედი აზნაურებისა. სწავლა-განათლების მხრით ეს სოფელი სხვას არ ჩამორჩება. 1911 წლამდი აქ არსებობდა ერთკლასიანი სამრევლო შკოლა სამი განყოფილებით. მოსწავლეთა რიცხვმა თანდათან იმატა. შკოლაში ადგილი აღარ დარჩა. ამიტომ აუცილებელი საჭირო გახდა შკოლის შენობის გადიდება და გაორკლასიანება, რომლის სისრულეში მოყვანას შევუდექით. მოვახდინეთ ყრილობა, ვიმსჯელეთ, ავირჩიეთ მზრუნველები 4 კაცისაგან (ი. კეკელიძე, დ. ბერიძე, პ. ბ. თოდრია, მ. კეკელიძე) და ნებაც ავიღეთ შკოლის გაფართოებისა. ამას შემდეგ შევუდეგით შენობის იჯარით გაცემას, დავნიშნეთ რამდენიმე გამოცდილი პირი, რომელთაც იანგარიშეს ყოველივე საჭირო მასალა შენობისთვის და შედგა სულ 2048 მანეთი; შენობის აგება იჯარით ძმ. ფ. და მ. თოდრიებმა აიღეს და ნაანგარიშევი ჯამიდან ასი მანეთიც დაუკლეს და თერთმეტი პარტაც უფასოთ გაგვიკეთეს. შენობა დანიშნულ დროს ჩაგვაბარეს და ანგარიშიც მოითხოვეს მზრუნველებისაგან. მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ფული ჯერ ვერ მისცეს ოსტატებს და სთხოვეს, რომ შენობა დაეთმოთ დროებით ანგარიშის გასწორებამდი. ოსტატებმაც დაუთმეს იმ პირობით, რომ დანიშნულ დროს ფული მიეცათ, მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა და ანგარიში დღესაც არ გაუსწორებიათ. სოფლიდან კი ფული სრულიად მოკრეფილია და ანგარიშის გასწორებას რას უყურებენ ბ-ნი მზრუნველები არ ვიცით...

**ტოკსპირი.**

## ლ ე ჩ ხ უ მ ი.

დ. ცაგერი 26 ნოემბერს დ. ცაგერის საკრებულო ტაძარში ლეჩხუმის თავად-აზნაურობამ გადაიხადა პანაშვიდი ფოთის ქალაქის გამგეობის წევრის ლუარსაბ მიხეილისძის ყრუაშვილის სულის მოსახსენებლათ. განსვენებული ლეჩხუმის მკვიდრი იყო და აქ მას მრავალი ნათესავ მეგობარი ყავდა. ლუარსაბ ყრუაშვილის გადაცვალების ამბავმა მათში გულწრფელი მწუხარება გამოიწვია. პანაშვიდს დაესწრო თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დ იასონ გელოვანმა გულწრფელი სიტყვებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: ,,ჩემო ძმებო და შვილებო'', ლუარსაბ ყრუაშვილის გადაცვალებით მე პირადათ დავკარგე ჩემი სიყმაწვილიდან დაწყებული აქამდი ყოვლათ საიმედო ძმა და მეგობარი.

მისი ნათელი აზრი და ფაქიზი, პატიოსანი ხასიათი მამხნევებდა და მაიმედებდა ჩემს ცხოვრებაში და მოღვაწეობაში. ეს უბრალო და თავდაბალი კაცი არა გავლენის და სწავლის მეოხებით, არამედ მხოლოდ დოუღალავი პატიოსანი შრომით და მოღვაწეობით იდგა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო მოღვაწეთა წრეში. მისი სინდისი და პატიოსნება სამაგალითოდ ექმნებ დასახული ყველა იმას, ...ც მას ცხოვრებაში ხვდებოდა.

არა ვსტირი მარტო იმას, რომ შეუბრალებელმა სიკვდილმა გულწრფელი და საყვარელი მეგობარი მომტაცა. როგორც მაზრის წინამძღოლი ვგლოვობ ლუარსაბ ყრუაშვილის გადაცვალებას, რადგან ისეთი პატიოსანი მოღვაწის დაკარგვა ჩვენი საზოგადოებისთვის ძლიერ საგრძნობელია''. **—ნი.**

## თეატრი და ხელოვნება.

### თფილისის ქართული დასი.

შაბათს 24 ნოემბერს, ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ ქ-ნი ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოთ გამართეს ,,გამოსაცდელი წარმოდგენა''—**დალატი.** ვამბობ ,,გამოსაცდელი''-მეთქი, ვინაიდან ამ დღის დალატს მართლა ,,ღალატი'' ეწოდებოდა, რომ თუ იგი ,,გამოსაცდელ სპექტაკლათ'' არ ჩავთვალეთ, უფრო მეტიც: იგი იქნებოდა შინაური გასართობი საღამო. აი, რატომ დავარქვით ამ დღეს ,,გამოსაცდელი'' და რამდენათმე მაინც ზედმეტი პასუხისმგებლობიდან ვიხსენით როგორც ქართული დრამატიული დასი, ისე გულგაწყალებული დამსწრე საზოგადოება.

მაგრამ ვიდრე როლების ასმსრულებელთ შევეხებოდეთ, ორი სიტყვა ახალ დეკორაციებზე:

ცოდვა იქნებოდა, რომ ადამიანმა ამ მხრით რაიმე წუნი დასდვას სცენას. განსაკუთრებით საუცხოო სანახაობას წარმოადგენს პირველი მოქმედების დეკორაცია, რომელიც წვრილმანი დეტალებით გიხატავთ სოლეიმანხანის სასახლის პავილიონს. სივრცეში სიღრმიდან მოსჩანდა მეტეხი, რომელიც სიმბოლურ სიძლიერით შემოსილიყო და ამაყათ გადმოყურებდა მდიდრულს, მესამე უსულგულო სასახლის სიცალიერეს, სადაც ეულ სულსავით გრგვინავდა ოდესმე ძლიერი და ახლა ბედისა და ექვების ფეხთა მტვერი საქართველოს მომხრესი სოლეიმან. სასტიკათ დაცული სპარსული სტილი, ფერად-ფერადი ძვირფასი ხალიჩები. მთელი აღმოსავლეთის სულით და ლაჟვარდოვანი ცის პერსპექტივებით, მხოლოდ დალატის შესაფერს და ღირსეულს, მხატვრობას წარმოგიდგენდათ!

## გაზეთი „იმერეთის“ ხელისმომწერთა საყურადღებოთ

## კანტორა აცხადებს,

**რომ ვისაც 1912 წლის ხვედრი ფული აქვს შემოსატანი დაახქარონ შემოტანა და ამით კანტორას საშვალება მისცეს ამა მდგომარე წლის ანგარიშები შეასწოროს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავე, სიკაპასე დასჯილი, მაგრამ მიტოვებული იქმნა!...

—

,,სამანიშვილის დედინაცვლის'' სცენაზე ნახევრათ წაკითხვამ და ნახევრათ წარმოდგენამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. არ იცვლებოდა დეკორაცია, თამაშს შუა წყვეტდა კითხვა, მაგრამ მაყურებელთ საკმაოთ, ნათლად დაინახავს გაჭირვებაში ჩავარდნილ იმერელი-აზნაურის ხრიკი, ტანჯვა და ბედი. განსაკუთრებით კარგი იყვენ ბ.ბ. არაბიძე, ჩარკვიანი, და ო. ლოლობერიძის ასული.

სამი შარჟიდან პირველზე ორიოდე სიტყვი თავში გვქონდა ნათქვამი. მეორე და მესამე კარგათაც შეასრულეს და იდეურიც იყო. წვრილფეხა ოთარბეგების სასაცილოთ დასახვა და თეატრში მოსიარულე უზრდელების ალაგმვა სწორეთ რომ საჭიროა: პირველნი სწამლავენ ცხოვრებას და უკანასკნელნი კი თეატრში სიარულს აძულებენ საზოგადოებას.

ჩვენს მწუხრიან და მოწყენილ დროს ასეთი საღამოები სასურველია—იქნებ ოდნავ მაინც გაგვეღიმოს.

სინემატოგრაფი და შარადა ვერ აკმაყოფილებდა ძლიერ თავდაჭერილ მოთხოვნილებასაც კი.

—

მე მგონია, რომ ლ. ანდრეევის დრამის—,,დღენი ჩვენის ცხოვრებისა''—დედა აზრი უკანასკნელ სცენის სიტყვებში სავსებით არის გამოთქმული: ,,ვინ უწყის რა გველის ან დღეს ან ხვალე''. პიესას სწორედ ამიტომ ხვდა არა-ჩვეულებრივი ბედი—იგი საყვარელ პიესათ შეიქნა—რომ ავტორმა მონახა რითმი პროზისა და ამ სიმღერის ძირითადი ჰანგი ნოტების მაგიერ სიტყვებში და მოქმედებაში ისე ხელოვნურად გადაიტანა, რომ შთაბეჭდილება ოპერისებური რჩება...

სტუდენტობა სვამს, ცუდ-ყოფაქცევის ქალთა შორის ატარებს დროს, მაგრამ ამ სტუდენტობას გულს უღრღნის ფიქრი—ვინ უწყის რა გველის ან დღეს ან ხვალე?

ონუფრი სასოწარკვეთილებით მოსილი იმედ-დაკარგული სტუდენტი—ისიც კი სიმპატიას იწვევს, რადგან ეტყობა იგი სულ იმაზე ფიქრობს—ვინ უწყის რა გველის ან დღეს, ან ხვალე...

გლუხოვცევი, ეს გულწრფელი ცხოვრებაში ჯერ გამოუცდელი ისიც ვერ იტყვის, თუ რა მელის ხვალ...

მთელი ეს წრე, ამხანაგები გლუხოვცევისა და ონუფრისა, სცენაზე ლოთობენ და ბავშურათ იღრიჭებ-იგრიხებიან, მაგრამ აქა-იქ წამოცდენილ სიტყვაში (**გლუხოვცევი**; მე და ანუფრი სამი დღეა, რაც ვმსჯელობთ, თუ ვინ არის დამნაშავე...''; ,,ნიცშე, შენ და მეც მდაბიო მოქალაქეები ვართ''; ,,ახლა ლოცვაც კი კადნიერებაა'') ისახება თუ რა მაღალი და წმიდა წრეს გვიხატავს ავტორი...

პიესამ მშვენიერათ ჩაიარა.

ბ. არადელი-იმხნელი თავისი ბუნებრივი თამაშით არათუ ახორციელებდა ნაკისრ როლს, არამედ გამხდარიყო ჭეშმარიტ ონუფრათ...

ბ. იმედაშვილი გვავიწყებდა ქუთაისის უსულ-გულო ცხოვრებას და გვაგონებდა, რომ იქ, სადაც ახალგაზდა სტუდენტთა შორის არის მაღალი სხივმფენი სიყვარული, რომელსაც ულმობელი ბედი ასახიჩრებს ულვთოდ, უმართლოდ.

ახლაც ჩამწივის ყურში გულზე მოწოლილი სიმღერა.

— ზარი გლუხოვცევ-იმედაშვილისა, რომელსაც თვალცრემლიანი ისმენს ონუფრი—არადელი-იმხნელი:

ვინ უწყის, რა გველის
ან დღეს, ან ხვალე.

და ეს ქალი (ოლგა ნიკოლაევნა), რომელსაც შიშისაგან მალა არ შესწევს წინა აღუდგეს პირადს გაუპატიურებას, ეს სიმბოლო გულის სიწმინდისა და მოქმედების სიცუდისა, რა რიგ ხელოვნურათ დაგვისახა ნინო ჩხეიძის ასულმა!

ღრმა მადლობა ასეთი წარმოდგენისთვის!

ის გარემოება კი, რომ საზოგადოება ცოტა დაესწრო ასეთ წარმოდგენას გულს გვიმწარებდა.

**ნ. ლორთქიფანიძე.**

იყიდება ნარდით
გაზენტილი გამბა
ყველა ხარისხის

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ-ები
ქუთაისში.

მიიღება ბამბა გზ...
რჩევანი და ...
ცვათ მლიერ ზომიერ
ფასათ.

მაგრამ ამ სისრულემდი ვერ აწევდა მეორე მოქმედების დეკორაცია. რეჟისორს საქებურათ უნდა შევნიშნოთ, რომ მას არ დაუზოგავს მთელი თავისი ძალ-ღონე უძვირფასესი მასალების შესაკრებათ, თუმცა ეს მასალები ვერ ვნახეთ ზედმიწევნით განაწილებული, როგორც პირველს მოქმედებაში. აკლია არქიტექტორის ალღო, რომ ძვირფასი მასალები მათემატიკური გამოზომვით გაენაწილებია, მაგ: მღვიმის შესავალი კარები ვერ გავიგეთ. სად იყო მიჭუჭყული, ხეივანი მეტად შეზღუდული იყო, ასე რომ ცქვიტ გაიანეს ფართო გასაქანს უსპობდა სათამაშოთ. სიღრმის სივრცე ლურჯი კამარით არის გადაკრული, არ მოჩანს კავკასიონის სილუეტი, რომლის შესახებაც ხშირათ ამბობენ მოქმედნი პირნი—აი, ეს მთებიო და სხვ. თვით ღრუბლების არეული მიმოსვლა ეფექტს ახდენს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფიზიკურ კანონებს არ დავუმორჩილოთ ფიზიკური მოვლენანი. არც ამ დღის წარმოდგენის დროს, არც 15 ნოემბერში ვერ იქნა ღრუბლების მოწესრიგება: თეატრის მსახიობნი ღრუბელს ამბობდენ და ლაჟვარდ ცას ვჭვრეტდით, მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დავინახეთ; დღეს კი ისე ირეოდენ, თითქოს ქარიშხალის მიერ დაფანტული წეროთა გუნდიაო. და ეს მაშინ, როდესაც სოლეიმანი ამბობს: ჰაერი მძიმეა... ღრუბელი მეტეხს შემოსწოლიაო. ,,შემოსწოლიაო''—სულ სხვაა და ჰაერის სიმძიმეს ეთანხმება, მაშინ როდესაც ღრუბლების სირბილი და ჰაერის სიმძიმე ერთად შეუძლებელია მოხდეს, აი, რატომ არის საჭირო, რომ ასეთს შემთხვევაში რეჟისორი ერიდოს ზედმეტ ეფექტს, [illegible] რომელსაც შეუძლია სულმოულოდნელი მიზეზის წყალობით გული წარმოდგენის ილუზია დააკარგვინოს მაყურებელს.

მეოთხე მოქმედების დეკორაცია მოიკოჭლებდა, მაგრამ ეს იმდენათ საგულისხმიერო არ არის, თავიდათავი პირველი და მეორე მოქმედების დეკორაციაა და რეჟისორს სწორეთ სამართლიანად მხოლოდ ამ ორი მოქმედებისთვის მიექცია მთელი თავისი ყურადღება და მცირეოდენი დეფექტებით მაინც თავის მიზანს მიაწია.

მაგრამ ამ დეკორაციის სიტურფეს სამწუხაროდ, პარალელურათ ვერ მისდევდა თვით მსახიობთა თამაში. უწინარეს ყოვლისა, არა ჩანდა ანსამბლი. მეტათ მიმაჩნია აღნუსხვა, თუ როდის რომელი არტისტი შესდგა, ან დაიგვიანა, ან როგორ უცთიდენ ერთმანეთსა, სიტყვების ძებნა და სხვა. საინტერესოთ არ მიმაჩნია აღვნიშნო ისეთი დამახინჯება ზოგიერთ ფრაზებისა, არც იმ უხერხულ მდგომარეობას შევეხები, რომელშიაც მსახიობნი ჩასცვივდენ ერეკლეს გვამის შემოტანის მოლოდინში! ყოველისფერს თავს ვანებებთ და თვით მსახიობთა ატესტაციის განაწილებას შევუდგებით, რომელიც შეიძლებოდა ამ გამოცთის შემდეგ დავერიგებია მათთვის:

უწინარეს ყოვლისა, მოზენეფისე, ქ-ნი ჯავახიშვილის ასული კარგი ზეინაბი იქნება თუახლა არა, მომავალში მაინც, თუ რომ უადგილო მღელვარება და უადგილო გულგრილობა არ დაგვანახა. ყოველთვის როლი იცოდა, მაგრამ... ჩქარობდა. სიტყვებს ყლაპავდა, ხან ავიწყდებოდა, ზოგჯერ წინა ფრაზებს უკან ამბობდა, გადასცილდებოდა რამდენიმე წინადადებას, მოიგონებდა, დავიწყებულს და ისევე როლს გაახლებდა ხოლმე. მაგრამ ეს ყველას თავს არის, რომელიც პირველად გამოდის გამოსაცდელად და აი, რატომ მიეტევება ყველაეს. მიეტევებოდა ისიც, რომ თუ ლაპარაკობდა, როლში შედიოდი, გაჩუმდებოდა, და ცივდებოდა.

ახლა გადავალთ ,,გიმნაზისტებისა" და „გიმნაზისტკების" თამაშობაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას ახალგაზდა მსახიობთა თამაშის შესახებ. დავიწყოთ რუქაიათი გოგოლაშვილის ასული მოხდენილი რუქაია იყო, მოყვანილობა, სიმკვირცხლე კარგი ქონდა. ირაკლისთან თამაშში, წარმოდგინეთ, ორჯერ თუ სამჯერ ძუვეფხვის თათიც კი აათამაშა, მაგრამ..... მიუხედავათ ამისა, ეს მაინც ,,გიმნაზისტკის'' სიყვარულს უფრო გიხატავდათ, ვიდრე რუქაიას ვნებით გატაცებასა. ხომ გინახავთ, ახალგაზდა ქალი, როდესაც გიმნაზიის მეშვიდე-მერვე კლასში გადავა, რა ოცნებით აშენებს სიყვარულის გეგმას და ყოველ გიმნაზიელსა თუ სტუდენტში თავის წინასწარმეტყველს ეტრფის! ხომ გინახავთ ასეთი ახალგაზდა, როგორ ამაყობს თუ ხელთ ჩაიგდო თავისავით ტიკინა ახალგაზდა და სიყვარულის ტიტინით სმენას უტკბობენ ერთმანეთსა! აი, ეს სურათი მიდგებოდა თვალწინ, როდესაც ორ ახალგაზდა მსახიობის შეწყობილ თამაშს ვუყურებდი: გოგოლაშვილის ასულს—რუქაიას და ერეკლე—დ. მგალობლიშვილს! თქმა არ უნდა, რომ ორივეს კარგი მომავალი აქვთ, ნიჭით დაჯილდოებულნი არიან, მაგრამ.. ამ გამოსაცთელ წარმოდგენაში მათ გიმნაზიელთა სიყვარულის ყვავილი გაგვიშალეს, ძლიერი ალღო მთიელების, ბუნებოვნება, რომელსაც სტიქიური სიყვარულის ქარიშხალის ატეხა ძალუძს, ამათ ხელში გიმნაზიელთა საყოველდღეო „მიყვარხარითა'' და „ჩემო გიჟოთი'' გადაიქცია.

ბ-ნი მატარაძე დათოს როლს ასრულებდა. ვნახეთ დათო, მაგრამ გამოცთაში საშვალო ნიშნის დასმა შეიძლება, არც ძლიერ კარგი და არც ძლიერ ცუდი. საზოგადოთ კარგა ხნის მზადება უნდა, რომ მომავალში ვაკისროთ დათოს როლი.

მაგრამ არ შეგვიძლია ახლავე საქვეყნოთ არ ალვიაროთ, რომ ქ-ნ ქიქოძის ასულს პირდაპირ ხუთი ეკუთნის ისახარის განსახიერებისთვის.

ბ-ნი ციციშვილი ძლიან შორს იდგა საშა ბერის სიდარბაისლემდი, ჩქარობდა, ავიწყდებოდა, რომ თითოეულს მის ჟესტს, ანტონაციას სიმბოლიური მნიშვნელობა უნდა ქონდეს.

არ შევეხებით პირველ ხარისხოვან არტისტებს: არც ვ. აბაშიძეს (ბესო), არც გუნიას (ოთარბეგი), არც ანანი გლახაკს (კ. მესხი), არც შალიკაშვილს (სოლეიმან), არც თუ მაიკოს (ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა). ყველა ესენი ხშირათ გვინახავს ამავე როლებში, ახალი არა შეუტანიათ რა, გარდა გამოურკვეველი სიცივისა, რომელიც დალაქის დასაწყისისთანავე დაეტყო თამაშს, ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მხოლოდ დავითაშვილის ასულზე, რომელმაც მეტად ორიგინალური გაიანე დაგვიხატა. პირადათ ჩვენ ამ მსახიობს ახლა ვხედავთ გაიანეს როლში და სიამოვნებით აღვნიშნავთ კიდეც, რომ მხოლოდ მასში დავინახეთ გაიანეს სრული სახება, მთელი თავისი დიადი ბუნებით, როგორიც პიესის ავტორს აქვს დახატული. მადლობა ღმერთს, რომ ვინმე სხვა „გიმნაზისტკას'' არ დააკისრეს ეს როლი და პატარა ესთეტიური სიამოვნება მოგვანიჭეს გულს ამ მოსაწყენ გამოსაცთელ წარმოდგენაში.

**დ. კასრაძე.**

## ღია ბარათი

**ბ. იასონ გაბილაიას, ,,კოოპერაციის'' რედაქტორს!**

მე გადავეცი იოსებ ხელაძეს თქვენდა გადმოსაცემათ 2 მან. და 5 შაური. გთხოვთ მაცნობოთ გაზეთის საშვალებით, მიღებული გაქვთ თქვენ ეს ფული თუ არა და თუ მიღებული გაქვთ რა მიზეზია, რომ დღემდი არც ერთი ნუმერი ,,კოოპერაციისა'' არ მიმიღია.

**ბენედიქტე თევდორაძე.**

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. შელიძე

ამა 1912 წ. 26 სეკტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

# იმერეთი

✦ (წელიწადი პირველი) ✦

გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| ცალკე ნუმერი | შაურათ. |

1 ნოემბრიდან წლის დამლევამდი გ... დირს მანეთნახევრათ. მოწაფეებსა და სო... მასწავლებლებს დაუთმობთ მანეთათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხე აბაზი, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთი. ფული და გაზეთის ყოველგვარე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ"
**Антону Михайловичу Хеладзе.**
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

გაზეთი **იმერეთი** იყიდება ორპირის ქუჩა მეთუნუქე ვანო ტორაძ... სახელოსნოში. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, პატეფონები, საქსოფონი და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები, გიტარები და მათი მოწყობილობა, ბა. ვიდე მიიღება ნაწილები, აგრეთვე სიმები (თვითეული მუსიკისთვის). ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

გაზეთი **იმერეთი** იყიდება მესხეთის ქ. მოვაჭრე ამროსი ხვიხვიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

## ალექსანდრე კოსტავას
### ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს" ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ
## ძმ. ე. და პ. საკაშვილების
### სავაჭროში, ქუთაისში.
(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

**იყიდება ქურა (პლეტა)**, თუჯის ორი „კომფორკით" ,,დუხოვკით'', სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ დაჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები მალიან ცოტა არის მოსული.

## გ. გორდაძის და ს. წერეთლის
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ქურქლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

-ჟურნალ-გაზეთების კანტორა-
## „იმერეთი"
ქუთაისში

ამით აცხადებს ქართველ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან

## აკაკის
ნაწერების — მე-II-ე წიგნისას:

მველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებით. სხვათა შორის ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი ისტორიული პოემა

## „ვორონცოვი და მისი დრო"
სურათით.

ფასი ხელის მოწერით 50 კაპ., გამოცემის შემდეგ კი ეღირება 75 კაპ.

წიგნის დაკვეთა შეიძლება თვით გამოცემის ხელმძღვანელთან: 1. ქუთაისი—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 2. ბათუმი—ჟურნალ-გაზეთების კანტორა ,,განთიადში''. 3. სოხუმი—მასწავლებელ ნიკო ჯანაშიასთან. 4. ოზურგეთი—ნოტარიუს თეოფ. ხუსკივაძესთან. 5. ფოთი—იოსებ კოხრეიძესთან და სიმ. ორაგველიძესთან. 6 ახალსენაკი—წიგნის მაღაზია ,,სინათლეში''. 7. ზუგდიდი—აკაკის სახელობის ბიბლიოთეკაში. 8. ხონი—წ. კ. ს. ხონის განყოფ.—წიგნის მაღაზიაში. 9. ნაქალაქევი—მასწ. პეტრე ჯალაგანიძესთან. 10. ოზურგეთი—წიგნის მაღაზია მ. თალაკვაძისა. 11. ჩოხატ. წიგ. მაღ. ს. თავართქილაძისა და გ. თავდგირიძესთან 12. ლანჩხუთი—წიგნის მაღაზია ვ. კალანდაძისა. 13 სუფსა—ვარ. ჩხაიძესთან. 14. სამტრედია—წ. კ. გ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში და ბუღალტერ გიორგი მუმლაძესთან. 15 ლაილაში—კოლა ალხაზიშვილთან. 16 წყნეთი—სამკითხველოში. 17. წესი—სამკითხველოში ვანო ჭიჭინაძესთან. 1„. ონი—ივ. კერესელიძესთან. 19. ტყიბული—მ. კბილაძესთან. 20. ხრესილი—სამკითხველოში ვარ. ჩიჩუასთან. 21. კურსები—სამკითხველო. 22. სიმონეთი—სამკითხველოში. 23. სვირი—სამკითხველოში. 24. ბაღდათი—სამკითხველოში. 25. დიმი—სამკითხველოში. 26. მუხიანა—სამკითხველოში. 27. ჟგირიდა—ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. 28. ჭიათურა—გაზეთ. აგენტთან ის. შილაკაძესთან. 29. ხაშური—(მიხაილოვოში) წიგ. მაღაზია—ი. ყაჭიეიშვილთან. 30. გორი—,,ქართლის'' რედაქციაში და წიგნის მაღაზიაში. 31. ბორჯომი—წ. განყოფილების. მდივანთან. 32. მცხეთა—1 კლასის ბუფეტში ვარლამ გეგეჭკორთან. 33 თფილისი—წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში, წიგნის მაღაზიებში: ,,ცოდნა'' და ,,ნოვაია რეჩში''. 34 განჯა—1-კლასის ბუფეტში და მემანქანე შალვა მამულაიშვილთან. 35. ერევანი—ქ-ნ. ელენე ვირსალაძესთან. 36. ბაქო—წ. კ. ს. განყოფილების მდივანთან. ქართულ შკოლაში. 37. კავკავი.—ქართულ შკოლაში და ვარლამ ბურჯანაძესთან. 38. ალაგირი—ქართულ შკოლაში პ. მეტრეველთან. 39. პეტერბურგი—ა. არაბიძესთან (კარავანნაია, № 2). 40. მოსკოვი—ვარ. ხუროძე და მირიან ბასილაიასთან (ნიკოლაევსკაია — № 21) 41. ოდესა—სტუდ. გრ. კვიცარიძესთან.

კანტორა ,,იმერეთის'' გამგე ისიდორე კვიცარიძე.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.